

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

*[Handwritten signature in purple ink]*

„17 04“ 2015 წელი

ეგზ. № 1

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების  
ფინანსური აუდიტის ანგარიში

აშ 27/00

2015 წელი

## სარჩევი

|                                                                                 |    |
|---------------------------------------------------------------------------------|----|
| აუდიტის მიზანი.....                                                             | 3  |
| აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....                           | 3  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა.....                                                  | 4  |
| ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....                                        | 5  |
| 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები .....           | 7  |
| ბუღალტრული აღრიცხვა .....                                                       | 7  |
| მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში .....                                | 8  |
| მანქანა-დანადგარები და ინვენტარი .....                                          | 8  |
| კრედიტორული დავალიანება .....                                                   | 9  |
| შრომის ანაზღაურება .....                                                        | 9  |
| ოფისის ხარჯი .....                                                              | 10 |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები..... | 11 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.....                                     | 12 |
| წმინდა ღირებულება.....                                                          | 12 |
| აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....                                         | 13 |
| 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები .....           | 14 |
| შენობა-ნაგებობები .....                                                         | 14 |
| მანქანა-დანადგარები და ინვენტარი .....                                          | 14 |
| კრედიტორული დავალიანება .....                                                   | 15 |
| შრომის ანაზღაურება.....                                                         | 16 |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები..... | 17 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.....                                     | 18 |
| წმინდა ღირებულება.....                                                          | 18 |
| სხვა მნიშვნელოვანი საკითხები .....                                              | 19 |
| აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა .....                                        | 19 |
| ქუთისის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება .....                   | 21 |
| ქუთისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება .....                   | 34 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....                                        | 45 |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....                                        | 45 |

## აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

## აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

### **ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ**


ქუთის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირები განახორციელოს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, კერძოდ, ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათ დახმარებას და სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, ძირითადად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013-2014 წლებში ქუთის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა სულ 3 924.9 ათასი ლარი შეადგინა. შემოსულობებიდან 3 842.2 ათასი ლარი (98%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს, მათ შორის, 3 682.2 ათასი ლარი გათანაბრებითი ტრანსფერია, ხოლო 160.0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი. გარდა ამისა,

მუნიციპალიტეტს შემოსავალი მიღებული აქვს საბანკო ანგარიშის თავისუფალ ნაშთზე დარიცხული სარგებლის (პროცენტის) სახით, 82.7 ათასი ლარი.


2013-2014 წლების მიღებული შემოსულობები



2013-2014 წლების ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა სულ 3 695.5 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 3 694.2 ათას ლარს შეადგენს ხარჯები, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა 1.3 ათასი ლარია.

2013-2014 წლების ხარჯების კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)



აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2013 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

*ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.*

## 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

### ბუღალტრული აღრიცხვა

**გარემოება.** „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის<sup>1</sup> შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებული არიან ფინანსური ოპერაციების აღრიცხვისას აწარმოონ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს ფინანსური ოპერაციების აღრიცხვის მიზნით, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დოკუმენტები - მემორიალური ორდერები, ბრუნვათა უწყისები და ე.წ. „მთავარი წიგნი“, ნაწარმოები არ არის.

პასუხიმგებელი პირის განმარტებით, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები შეტანილია ბანკიდან მიღებული მონაცემებიდან, ხოლო ფაქტობრივად

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია.

გაწეული ხარჯები, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან, ძირითადი ქონების ნაშთები აღებულია ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებიდან.

### **გავლენა**

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის გამოუყენებლობა გავლენას ახდენს სამეურნეო ოპერაციების შედეგად გაფორმებული დოკუმენტების საიმედოობაზე, მათი ქრონოლოგიურად დალაგების სიზუსტესა და სრულ აღრიცხვაზე, ასევე გავლენას ახდენს მათ საფუძველზე - შესადგენი მემორიალური ორდერების მონაცემების უტყუარობაზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს „მთავარი წიგნის“ და ბრუნვათა უწყისის არასწორ წარმოებას.

### **მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში**

**გარემოება.** ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) №1210 ანგარიშზე - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაჩვენებია 375.4 ათასი ლარის ოდენობით. ბანკის ამონაწერებით, ამ პერიოდისათვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ნაშთი შეადგენდა 377.6 ათას ლარს. ნაშთი შემცირებულია და ნაჩვენებია 2012 წლის ბოლოს მიღებული შემოსავლით - 2.2 ათასი ლარით, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ანგარიშის თავისუფალ ნაშთზე ბანკის მიერ დარიცხულ სარგებელს - პროცენტს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ჩაირიცხა სახელმწიფო ხაზინის გვერდის ავლით.

### **გავლენა**

ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ შემცირებულია 2.2 ათასი ლარით.

### **მანქანა-დანადგარები და ინვენტარი**

**გარემოება.** მუნიციპალიტეტმა დევნილთა სხვადასხვა დასახლებაში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით შეიძინა წყლის ტუმბოები ღირებულებით

- 2.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა მოახდინოს შეძენილი ქონების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

#### **გავლენა**

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 2.4 ათასი ლარით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 2.4 ათასი ლარით.

#### **კრედიტორული დავალიანება**

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის დეკემბრის თვეში შპს „ლუკოილ ჯორჯიასაგან“<sup>2</sup> შეძენილი საწვავის ღირებულება - 2.4 ათასი ლარი, ანაზღაურებულია 2014 წლის იანვარში. ამდენად, 2014 წლის 1 იანვრისათვის აღნიშნული თანხა აღრიცხული უნდა იყოს ვალდებულებებში, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ მომხდარა.

#### **გავლენა**

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა მოკლევადიანი კრედიტორების“ მუხლი შემცირებულია 2.4 ათასი ლარით.

#### **შრომის ანაზღაურება**

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს ხელფასის სახით გაწეულია 1006.8 ათასი ლარის ხარჯი, აქედან, 753.4 ათასი ლარი - თანამდებობრივი სარგო, ხოლო პრემია - 253.4 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში პრემიისა და შესაბამისად,

---

<sup>2</sup> 2013 წლის ხელშეკრულება №11.

ხელფასების ხარჯი 0.5 ათასი ლარით ნაკლებია ნაჩვენები. აღიშნული თანხით გაზრდილია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.

### გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ხელფასების“ მუხლი შემცირებულია 0.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი („შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“).

### ოფისის ხარჯი

**გარემოება 1.** 2013 წლის 10 აპრილს შპს „ულტრასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით (№24) შეძენილია 3.1 ათასი ლარის ღირებულების კომპიუტერები, რომლებიც წარმოადგენს ძირითად აქტივს. აქედან, 1.8 ათასი ლარის აქტივის შეძენა მუნიციპალიტეტმა განახორციელა ოფისის ხარჯებიდან (საკასო ხარჯი), მაშინ როდესაც ის წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას. კომპიუტერები მთლიანი ღირებულებით აღებულია ძირითად აქტივებში. ამდენად, 1.8 ათასი ლარის კომპიუტერების შეძენა, ნაცვლად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ საკასო ხარჯისა, ასახულია „ოფისის“ საკასო ხარჯში.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლის საკასო ხარჯი გაზრდილია 1.8 ათასი ლარით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2-1) „მანქანა-დანადგარების“ მუხლი შემცირებულია 1.8 ათასი ლარით.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, დებეტის მხარე გაზრდილია 1.8 ათასი ლარით. შესაბამისად, არასწორადაა წარმოდგენილი „სადებეტო ბრუნვის“, „ჯამისა“ და „პერიოდის ბოლოს ნაშთის“ მუხლები.

**გარემოება 2.** მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ოფისის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 34.4 ათას ლარს, ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია 32.9 ათასი ლარი, ანუ 1.5 ათასი ლარით ნაკლები.

#### **გავლენა**

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯები შემცირებულია 1.5 ათასი ლარით.

### **ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები**

**გარემოება 1.** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომანქანების დაზღვევის ღირებულება - 1.5 ათასი ლარი<sup>3</sup>, ასახულია ტრანსპორტის ხარჯებში, მაშინ, როდესაც ის მიეკუთვნება „სხვა ხარჯებს“ და წარმოადგენს „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებს“.

#### **გავლენა**

ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 1.5 ათასი ლარით, იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

**გარემოება 2.** სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსახლეობის გადაყვანისათვის ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები - 4.3 ათასი ლარი<sup>4</sup>, ტრანსპორტის ხარჯის ნაცვლად ასახულია მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

#### **გავლენა**

ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 4.3 ათასი ლარით, ამავე თანხით შემცირებულია

<sup>3</sup> ხელშეკრულება №12 - გაფორმებული სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აისთან“ და ხელშეკრულება №38 - სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგთან“.

<sup>4</sup> ხელშეკრულება №26 - გაფორმებული შპს „დემასთან“.

„ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი.

**გარემოება 3.** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე (მსუბუქ ავტომაქანებზე) გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 44.6 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში კი ნაჩვენებია - 42.1 ათასი ლარი.

#### **გავლენა**

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯი შემცირებულია 2.5 ათასი ლარით.

- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში - არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემები“, სატრანსპორტო საშუალებებზე საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი შემცირებულია 2.5 ათასი ლარით.

#### **სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ ბანკისათვის გადახდილი მომსახურების თანხა - 1.0 ათასი ლარი, აღრიცხულია „პროცენტის“ მუხლში, მაშინ როდესაც იგი მიეკუთვნება მუხლს - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

#### **გავლენა**

ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „პროცენტის“ მუხლი გაზრდილია 1.0 ათასი ლარით, ამავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

#### **წმინდა ღირებულება**

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები (გამოთანაბრებითი და მიზნობრივი

ტრანსფერები) - 1847.1 ათასი ლარი, „შემოსავლების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში.

### გავლენა

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი ბალანსის დანართ ფორმა №3-ში.

### აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ქუთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

## 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

### შენობა-ნაგებობები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტმა 2014 წელს დევნილთა დასახლებაში გადახურა სახლების სახურავები, აგრეთვე შეიძინა სხვადასხვა პროექტები, ღირებულებით - 28.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა მოახდინოს შესრულებული სამუშაოების, ქონებისა და პროექტების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 28.7 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 28.7 ათასი ლარით.

### მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

**გარემოება 1.** მუნიციპალიტეტმა დევნილთა სხვადასხვა დასახლებაში შეიძინა წყლის ტუმბოები ღირებულებით - 2.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა განახორციელოს შეძენილი ქონების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 2.9 ათასი ლარით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 2.9 ათასი ლარით.

**გარემოება 2.** მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია ინვენტარი, ავეჯი, სხვადასხვა ტექნიკა (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი), სულ ღირებულებით 7.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „ოფისის ხარჯების“ მუხლის საკასო ხარჯში, ხოლო ქონება აღებულია შემოსავალში, როგორც ძირითადი აქტივი. აღნიშნული ქონების შეძენა წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს და ეს ხარჯი(საკასო) უნდა გაწეულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით.

### **გავლენა**

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 7.2 ათასი ლარით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლის საკასო ხარჯი გაზრდილია 7.2 ათასი ლარით.

### **კრედიტორული დავალიანება**

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის დეკემბრის თვეში შპს „ლუკოილ ჯორჯიასაგან“<sup>5</sup> შეძენილი საწვავის ღირებულება - 2.0 ათასი ლარი, ანაზღაურებულია 2015 წლის თებერვალში. ამდენად, 2015 წლის 1 იანვრისათვის აღნიშნული თანხა აღრიცხული უნდა იყოს ვალდებულებებში, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ მომხდარა. არა არის აღრიცხული აგრეთვე წლის დასაწყისათვის არსებული კრედიტორული დავალიანების ნაშთი - 2.4 ათასი ლარი.

### **გავლენა**

---

<sup>5</sup> 2013 წლის ხელშეკრულება №11.

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა მოკლევადიანი კრედიტორების“ მუხლი შემცირებულია წლის დასაწყისისათვის 2.4 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოს - 2.0 ათასი ლარით.

### შრომის ანაზღაურება

**გარემოება 1.** ფინანსურ ანგარიშგებაში ხელფასების სახით გაწეულია 1028.4 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი, აქედან, თანამდებობრივი სარგო - 778.5 ათასი ლარი, ხოლო პრემია - 249.9 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, თანამდებობრივმა სარგო შეადგენა 776.8 ათასი ლარი და პრემიამ - 251.6 ათასი ლარი.

#### გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) მუხლი - „თანამდებობრივი სარგო“ (ფაქტობრივი ხარჯი) გაზრდილია 1.7 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „პრემიის“ მუხლი.

**გარემოება 2.** 2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ თანამშრომლებისათვის ანაზღაურებული საავადმყოფო ფურცლის თანხები - 7.4 ათასი ლარი, გაცემულია „ხელფასების“ მუხლიდან. აღნიშნული ხარჯები გაწეული უნდა ყოფილიყო „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან („დამსაქმებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“).

#### გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ხელფასების“ მუხლი გაზრდილია 7.4 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

## ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები

**გარემოება 1.** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომანქანების დაზღვევის ღირებულება 3.3 ათასი ლარი<sup>6</sup>, ასახულია ტრანსპორტის ხარჯებში, მაშინ როდესაც ის მიეკუთვნება „სხვა ხარჯებს“ და წარმოადგენს „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებს“.

### გავლენა

ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 3.3 ათასი ლარით, იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

**გარემოება 2.** სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსახლეობის გადაყვანისათვის ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები - 1.8 ათასი ლარი<sup>7</sup>, ტრანსპორტის ხარჯის ნაცვლად ასახულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში“.

### გავლენა

ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 1.8 ათასი ლარით, ამავე თანხით შემცირებულია „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი.

**გარემოება 3.** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე (მსუბუქ ავტომანქანებზე) გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 39.9 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში კი ნაჩვენებია - 40.3 ათასი ლარი.

### გავლენა

<sup>6</sup> ხელშეკრულება №5 - გაფორმებული სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აისთან“ და ხელშეკრულება №38 - სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგთან“.

<sup>7</sup> ხელშეკრულება №35 გაფორმებულია შპს „დემასთან“.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯები გაზრდილია 0.4 ათასი ლარით.

- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში („ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემები“) სატრანსპორტო საშუალებებზე საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი გაზრდილია 0.4 ათასი ლარით.

### სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ ბანკისათვის გადახდილი მომსახურების თანხა - 1.2 ათასი ლარი, აღრიცხულია „პროცენტის“ მუხლში, მაშინ, როდესაც იგი მიეკუთვნება მუხლს - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

#### გავლენა

ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „პროცენტის“ მუხლი გაზრდილია 1.2 ათასი ლარით, ამავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

### წმინდა ღირებულება

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა № 3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები (გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერები) - 1995.1 ათასი ლარი, „შემოსავლების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში.

#### გავლენა

„ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი ბალანსის დანართ ფორმა №3-ში.

## სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1909 განკარგულებით, ქუთისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაეცა ქალაქ გორში, გრიგოლ ფერაძის ქუჩის №5-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში 1635.2 კვ.მ ფართობი, მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით<sup>8</sup>.

2013 წლის 21 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №51 განკარგულებითა და საკრებულოს თავმჯდომარის №153 ბრძანებით, მუნიციპალიტეტმა მიატოვა აღნიშნული ქონება და ის კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფოს.

მუნიციპალიტეტს ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 31 ივლისის დადგენილების საფუძველზე, სსიპ - „სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს“ უფრისის ბრძანებით<sup>9</sup>, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 3 წლით გადაეცათ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №89/24-ში მდებარე შენობიდან 99.8 კვ.მ-ის ფართობი.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოდან მასზე გადაცემული ქონება, ადმინისტრაციული შენობის ნაწილი, გაფასებული, ძირითად ქონებაში აღრიცხული და ფინანსურ ანარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) ნაჩვენები არ არის.

## აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ქუთისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

<sup>8</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა საკადასტრო კოდით: 66.45.31.079.

<sup>9</sup> № 01-4/118 ბრძანება.

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

# ქუთაის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

**ორგანიზაციის**

**ბალანსი**

ორგანიზაციის დასახელება

ქუთაის მუნიციპალიტეტი

ჩაბარების ვადა

2013წელი

ჩაბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

| კოდი                                       | აქტივები                                                                                    | მეარხის<br>ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისთვის | ნაშთი წლის<br>(დარტლის) ბოლოს |
|--------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|------------------------------|-------------------------------|
| 1                                          | 2                                                                                           | 3                 | 4                            | 5                             |
| <b>I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</b> |                                                                                             |                   |                              |                               |
| 010                                        | წაღდი ფული საღარიბოში გროვრული ვალუტაში                                                     | 1110              |                              |                               |
| 020                                        | წაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში                                                       | 1120              |                              |                               |
| 030                                        | მიმდინარე ანგარიში ზანკში გროვრული ვალუტაში                                                 | 1210              | 375415                       | 671018                        |
| 040                                        | მიმდინარე ანგარიში ზანკში უცხოურ ვალუტაში                                                   | 1220              |                              |                               |
| 050                                        | სადეპოზიტო ანგარიში ზანკში                                                                  | 1230              |                              |                               |
| 060                                        | სხვა ანგარიშები ზანკში                                                                      | 1240              |                              |                               |
| 070                                        | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის                              | 1250              |                              |                               |
| 080                                        | დეპოზიტები ხაზინაში გროვრული ვალუტაში                                                       | 1260              |                              |                               |
| 090                                        | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში                                                         | 1270              |                              |                               |
| 100                                        | ხაზინის სადეპოზიტო ანგარიში                                                                 | 1280              |                              |                               |
| 110                                        | სხვა ანგარიშები ხაზინაში                                                                    | 1290              |                              |                               |
| 120                                        | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა                                                          | 1310              |                              |                               |
| 130                                        | მოკლევადიანი სესხები                                                                        | 1320              |                              |                               |
| 140                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                                    | 1330              |                              |                               |
| 150                                        | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები                                                          | 1340              |                              |                               |
| 160                                        | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                     | 1351              |                              |                               |
| 170                                        | არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                  | 1352              |                              |                               |
| 180                                        | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები                                 | 1353              |                              |                               |
| 190                                        | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით | 1354              |                              |                               |
| 200                                        | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათი ექვივალენტებზე აქტივების/მოშახტრების მიწოდებით           | 1355              |                              |                               |
| 210                                        | გადახდილი დღგ                                                                               | 1356              |                              |                               |
| 220                                        | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი                                                       | 1357              |                              |                               |
| 230                                        | სხვა საგადასახადო აქტივი                                                                    | 1358              |                              |                               |
| 240                                        | მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით                             | 1359              |                              |                               |
| 250                                        | სხვა დანართები მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                              | 1360              |                              |                               |
| 260                                        | მოთხოვნები ბარტყრით                                                                         | 1410              |                              |                               |
| 270                                        | მოთხოვნები სადგაზღვრო კომპანიების მიმართ                                                    | 1420              |                              |                               |
| 280                                        | მოთხოვნები საკონტოს და მოშახტრების მიღებაზე წინასწარი გადახდებით                            | 1431              |                              |                               |
| 290                                        | მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით                                          | 1432              |                              |                               |
| 300                                        | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით                                              | 1440              |                              |                               |
| 310                                        | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები                                                  | 1450              |                              |                               |
| 320                                        | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები                                                              | 1460              |                              |                               |
| 330                                        | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით                                                | 1470              |                              |                               |
| 340                                        | სხვა დანართები მოკლევადიანი მოთხოვნები                                                      | 1480              |                              |                               |
| 350                                        | გრძელვადიანი სესხები                                                                        | 1510              |                              |                               |
| 360                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                                    | 1520              |                              |                               |
| 370                                        | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები                                                        | 1530              |                              |                               |
| 380                                        | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები                                                                | 1540              |                              |                               |
| <b>II. არაფინანსური აქტივები</b>           |                                                                                             |                   |                              |                               |
| 390                                        | სატრატეგიული მარაგები                                                                       | 1610              |                              |                               |
| 400                                        | სხვა მატერიალური მარაგები                                                                   | 1620              |                              |                               |
| 410                                        | შენიშნა-ნაგებობები                                                                          | 2110              |                              |                               |
| 420                                        | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                                            | 2120              | 37615                        | 29729                         |
| 430                                        | სხვა ძირითადი აქტივები                                                                      | 2130              | 14539                        | 13791                         |
| 440                                        | დაუმთავრებული ძირითადი აქტივი                                                               | 2140              |                              |                               |
| 450                                        | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები                                                          | 2200              |                              |                               |
| 460                                        | ფასიკულოშები                                                                                | 2300              |                              |                               |
| 470                                        | არაწარმოებული აქტივები                                                                      | 2400              |                              |                               |
|                                            | <b>ზალაშთი</b>                                                                              |                   | <b>427569</b>                | <b>714538</b>                 |

| კოდი                          | ვალდებულებები და კაპიტალი                                                                | ანგარიშის<br>ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისათვის | ნაშთი წლის<br>(ვვარტლის)<br>პერიოდისათვის |
|-------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|-------------------------------|-------------------------------------------|
| 1                             | 2                                                                                        | 3                   | 4                             | 5.00                                      |
| <b>I. ვალდებულებები</b>       |                                                                                          |                     |                               |                                           |
| 480                           | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                                                     | 3100                |                               |                                           |
| 490                           | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                           | 3210                |                               |                                           |
| 500                           | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                              | 3220                |                               |                                           |
| 510                           | ვალდებულებები ბარტრით                                                                    | 3230                |                               |                                           |
| 520                           | გადასახდელი მოგების გადასახადი                                                           | 3241                |                               |                                           |
| 530                           | გადასახდელი დღგ                                                                          | 3242                |                               |                                           |
| 540                           | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი                                                       | 3243                |                               |                                           |
| 550                           | სხვა გადასახდელები                                                                       | 3244                |                               |                                           |
| 560                           | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით                             | 3245                |                               |                                           |
| 570                           | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები                                                  | 3246                |                               |                                           |
| 580                           | შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                                | 3251                |                               |                                           |
| 590                           | შტატარზე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                              | 3252                |                               |                                           |
| 600                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით                                                  | 3253                |                               |                                           |
| 610                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ                                                   | 3254                |                               |                                           |
| 620                           | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები    | 3255                |                               |                                           |
| 630                           | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3256                |                               |                                           |
| 640                           | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული                          | 3257                |                               |                                           |
| 650                           | გადასახდელი სტიპენდიები                                                                  | 3258                |                               |                                           |
| 660                           | სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები                                                        | 3259                |                               |                                           |
| 670                           | ვალდებულებები დეპონატების მიმართ                                                         | 3260                |                               |                                           |
| 680                           | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები                                             | 3270                |                               |                                           |
| 690                           | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები                                              | 3280                |                               |                                           |
| 700                           | გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით                                                      | 3310                |                               |                                           |
| 710                           | სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები                                                | 3320                |                               |                                           |
| 720                           | მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები                  | 3331                |                               |                                           |
| 730                           | აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები                     | 3332                |                               |                                           |
| 740                           | სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები                                              | 3333                |                               |                                           |
| <b>II. კაპიტალი</b>           |                                                                                          |                     |                               |                                           |
| 750                           | წმინდა ღირებულება                                                                        | 5100                | 427569                        | 714538                                    |
| 760                           | საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი                                                     | 5210                |                               |                                           |
| 770                           | გაუნაწილებელი მოგება                                                                     | 5220                |                               |                                           |
| 780                           | დაუფარავი ზარალი                                                                         | 5230                |                               |                                           |
|                               | ბალანსი                                                                                  |                     | 427569                        | 714538                                    |
| <b>III. საცნობარო მუხლები</b> |                                                                                          |                     |                               |                                           |
| 790                           | საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები          | 01                  |                               |                                           |
| 800                           | პასუხისმგებლობა მომსახურების მიწოდებით                                                   | 02                  |                               |                                           |
| 810                           | გადახდის ვალდებულებები მომსახურების მიწოდებით                                            | 03                  |                               |                                           |
| 820                           | ხარჯები ჩამოწერილი მარაგები                                                              | 04                  | 30154                         | 35411                                     |
| 830                           | პრობითი მოთხოვნები                                                                       | 05                  |                               |                                           |
| 840                           | პრობითი ვალდებულებები                                                                    | 06                  |                               |                                           |
| 850                           | საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა                                                      | 07                  |                               |                                           |
| 860                           | ამორტიზებული ძირითადი აქტივები                                                           | 08                  |                               |                                           |
| 870                           | გადახდის ვალდებულებები მომსახურების მიწოდებით                                            | 09                  |                               |                                           |
| 880                           | გადახდის ვალდებულებები მომსახურების მიწოდებით                                            | 10                  |                               |                                           |
| 890                           | გადახდის ვალდებულებები მომსახურების მიწოდებით                                            | 11                  |                               |                                           |

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

\* აღნიშნული სტრუქტურის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებების და კაპიტალის ჯამს

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

